შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

გრძანება № 01-01/71

"24" ნოემბერი 2021 წ.

თბილისი

აკადემიური და პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე მუხლების, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 43-ე და 46-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის 5.6. და 5.7. პუნქტების, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის არჩევის წესის" მე-5 და მე-8 მუხლების თანახმად, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2021 წლის 17 ნოემბრის ოქმი N14 ამონაწერის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე უნდა შემუშავდეს ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო პროგრამა. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის მობილიზების მიზნით **2021 წლის 24 ნოემბერს გამოცხადდეს** ღია კონკურსი აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.**
2. **კონკურსი გამოცხადდეს:**

ა) აკადემიური ნიშნით აკადემიურ თანამდებობზე

- პროფესორის - 2 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორის - 3 ვაკანსია
- ასისტენტ პროფესორის - 2 ვაკანსია
- ასისტენტის - 2 ვაკანსია

ბ) პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობზე

- ასოცირებული პროფესორის - 7 ვაკანსია
- ასისტენტს პროფესორის - 4 ვაკანსია
- ასისტენტის - 4 ვაკანსია

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს შესაბამის საკონკურსო კრიტერიუმებთან აკადემიური ან პროფესიული ნიშნით შესაბამისობა.

3.1. აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

ა) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ან/და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს (3-4 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის განხორციელების დამადასტურებელი ცნობა უსდ-ში.

ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება; ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის განხორციელების დამადასტურებელი ცნობა უსდ-ში.

გ) ასისტენტ–პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);

➢ იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;

➢ ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

➢ ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

➢ ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის განხორციელების დამადასტურებელი ცნობა უსდ-ში.

დ) ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

➢ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

➢ მოტივაცია, დასაბუთება ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Sylfaen – 11, 1,5 ინტერვალით);

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

➢ ბოლო 3 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია;

➢ ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის განხორციელების დამადასტურებელი ცნობა უსდ-ში.

3.2. **პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები**

ა) ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა.

ბ) ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა.

გ) ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

დ) პროფესიული ნიშნით აკადემიური პერსონალის დამატებითი კრიტერიუმები:

- ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის განხორციელების დამადასტურებელი ცნობა უსდ-ში.
- დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები.
- პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა.

4. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმები

1. ინგლისურენოვანი პროგრამის კონკურსისთვის, დამატებით კრიტერიუმია კონკურსანტის მიერ ენობრივი კომპეტენციის დადასტურება პროგრამის შესაბამისი კომპონენტის განხორციელების ენაში, თუკი აღნიშნული ენა კონკურსანტის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს

2. ინგლისური ენის კომპეტენცია კონკურსანტს დადასტურებულად ჩაეთვლება ერთ-ერთ ქვემოთ მითითებულ შემთხვევაში:

ა) შესაბამის ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;

ბ) შესაბამის ენაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის / სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;

გ) ენობრივი კომპეტენციის ფლობის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობას, ენობრივ კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოთი (CEFR) დადგენილი კომპეტენციათა აღმწერის შესაბამისად.

3. B2 დონის ენობრივი კომპეტენციის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატად მიიჩნევა ერთ-ერთი შემდეგი:

ა) Cambridge English First (FCE)

ბ) BEC Vantage

გ) IELTS 5-6.5

დ) TOEFL iBT 87-109

ე) Michigan ECCE

ვ) PTE General Level 3

ზ) PTE Academic 59-75

თ) Trinity ISE II 4

4. კონკურსანტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის შემთშხვევაში, კონკურსანტის ვალდებულია კომისიის წინაშე ჩაატაროს საჩვენებელი ლექცია ინგლისურ ენაზე ან ჩააბაროს ენობრივი კომპეტენციის ტესტირება უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საგამოცდო ტესტის მეშვეობით. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

5. საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი აკადემიური თანამდებობისა და მიმართულების მითითებით;

ბ) კონკურსანტის ანკეტა (CV) (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)

ე) საკონკურსო ვაკანსიისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი დოკუმენტაცია - კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტები, ინფორმაცია პროფესიული გამოცდილების, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ და ა.შ;

ვ) დამატებით კრიტერიუმებთან კონკურსანტის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ზ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

თ) სილაბუს(ებ)ი.

ი) ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის განხორციელების დამადასტურებელი ცნობა უსდ-ში.

კ) ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ" შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა".

6. კონკურსის ეტაპები

ა) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა;

ბ) კონკურსანტების ენობრივი კომპეტენციის დადგენა ტესტირების გზით (ინგლისურენოვანი პროგრამისათვის) საჭიროების შემთხვევაში;

გ) საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოების წესი

1. განცხადების მიღება ხორციელდება ყოველდღიურად შაბათ–კვირის გარდა 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

2. საკონკურსო განცხადება და კანდიდატის რეზიუმე წარმოდგენილ უნდა იქნეს დადგენილი ფორმის შესაბამისად, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

3. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა ტარდება კონკურსანტის დაუსწრებლად, კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეიძლება მოწვეულ იქნეს ინტერვიუზე.

4. საბუთების გადარჩევის დროს მოწმდება:

ა) შეტანილია თუ არა განაცხადი საკონკურსო ვადის დაცვით;

ბ) წარმოდგენილი არის თუ არა შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის აკადემიური თუ პროფესიული ნიშნით კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი.

5. წარმოდგენილ დოკუმენტებში/ინფორმაციაში ხარვეზის აღმოჩენის ან/და დოკუმენტების არასრულყოფილი სახით წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია აცნობებს განმცხადებელს (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სხვა საშუალებით), რომელიც უფლებამოსილია აღმოჩენილი ხარვეზი გამოასწოროს ან/და წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. კომისიის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის ან/და დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ, რაც წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

6. წარმოდგენილ დოკუმენტებში/ინფორმაციაში გაყალბების აღმოჩენისას კომისიის მიერ დგება შესაბამისი ოქმი, რის საფუძველზეც კომისია იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის/კონკურსანტის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ, რაც წერილობით ეცნობება განმცხადებელს/კონკურსანტს.

7. საბუთების გადარჩევის შედეგად საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, კონკურსის მეორე ეტაპზე გასული კონკურსანტების შესახებ.

8. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის მიერ კონკურსის პირველი ეტაპის ვერ გადალახვის შესახებ, თუკი საკონკურსო განაცხადი შეტანილია საკონკურსო ვადის დარღვევით, ან წარმოდგენილი საბუთებით ვერ დასტურდება კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის მოთხოვნებთან.

8. **გასაუბრება**

- გასაუბრების დროს საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსის, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შესაბამის დარგში არსებული გამოწვევების ხედვას, ასევე კომუნიკაციის, თვით პრეზენტაციის, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარებს.
- საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრების ეტაპზე შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარების შესახებ, რის შესახებაც ეცნობება კონკურსანტს.
- ანაზღაურების პირობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, რომელიც დამოკიდებულია კონკურსანტის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე.

9. **კონკურსის ვადები**

- კონკურსი გამოცხადებულია **2021 წლის 24 ნოემბრიდან.**
- აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს **2021 წლის 27 დეკემბრიდან 2022 წლის 10 იანვრის** ჩათვლით.
- კონკურსის პირველი ეტაპი საბუთების გადარჩევა ჩატარდება **2022 წლის 11-12 იანვარს.**
- კონკურსის მეორე ეტაპი საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდება **2022 წლის 17-18 იანვარს** (გასაუბრების ზუსტი თარიღი და დრო კანდიდატს ეცნობება კონკურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ).
- კონკურს გავლილ მონაწილეთა სია გამოქვეყნდება **2022 წლის 20 იანვარს.**
- სააპელაციო განაცხადები მიიღება **2022 წლის 24, 25, 26 იანვარი.**
- სააპელაციო განაცხადების განხილვა ჩატარდება **2022 წლის 27 იანვარს.**
- კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება **2022 წლის 28 იანვარს.**

10.დაევალოს PR მიმართულების ხელმძღვანელს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, დასაქმების საიტზე (HR.GE).

11. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ელისო ელისაშვილი